საოჯახო მეურნეობების შესახებ

კვლევა ჩატარდა UNDP-ის მიერ ფინანსურად
მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში

2020 წელი

ფერმერ ქალთა ასოციაციის სარეკომენდაციო წინადადებები საქართველოში საოჯახო მეურნეობების განვითარების მხარდაჭერისთვის

/კვლევა ეხება UNDP-ის მიერ 2019-2028 წლების საოჯახო მეურნეობის დეკადად გამოცხადებას/

ფერმერ ქალთა ასოციაციამ UNDP-ის მხარდაჭერით 2019-2020 წლებში განახორციელა პროექტი „გენდერულად თანასწორუფლებიანი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც მოიძია საოჯახო მეურნეობების შესახებ ინფორმაცია.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) კვლევის თანახმად, მსოფლიოს 570 მილიონი ფერმერული მეურნეობიდან 500 მილიონი საოჯახო მეურნეობაა. აქედან უმრავლესობა მცირემიწიანი საოჯახო მეურნეობებია - ფერმერთა 72%-ს მფლობელობაში ერთი ჰექტარი ან ნაკლები მიწა აქვს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მხრივ ევროკავშირი მეორე ადგილს იკავებს მსოფლიოში. იგი 12 მილიონზე მეტ მეურნეობას მოიცავს, სადაც დასაქმებულთა თითქმის ოთხ მეხუთედს თავად ფერმერები ან მათი ოჯახის წევრები წარმოადგენენ. ევროპელი მიწათმოქმედი საშუალოდ 12 ჰა მიწას ამუშავებს, თუმცა, ფერმერთა 70%-ზე მხოლოდ 5ჰექტარზე ნაკლები მიწა მოდის, ამიტომ, წევრი ქვეყნების უმეტესობაში აგროსექტორი დიდ წილად ოჯახურ მეურნეობებზე დგას. ჯერ კიდევ 1997 წლის დეკემბერში, ლუქსემბურგის ევროპულ საბჭოში, სოფლის მეურნეობის ევროპული მოწყობის ძირითად მოდელად საოჯახო მეურნეობები დაასახელეს, რადგან საოჯახო მეურნეობა აერთიანებს ყველა სასოფლო-სამეურნეო აქტივობას, რომელსაც სოფლად მცხოვრები ოჯახი ასრულებს იმ მრავალი ასპექტის გათვალისწინებით, რომელიც სოფლის განვითარებას ისახავს მიზნად.

ევროპის პარლამენტის სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების კომიტეტის განცხადებით: „ოჯახურ მეურნეობებს შეაქვთ მნიშვნელოვანი წვლილი ევროკავშირის და სოფლის ეკონომიკის განვითარებაში. ისინი სურსათის უვნებლობის მთავარი გარანტორები არიან და სოფლის მეურნეობის სექტორში გარემოს გრძელვადიანი დაცვისთვის გაცილებით მეტი მოტივაცია აქვთ ვიდრე სხვა სახის მეურნეობებს“.

ევროკავშირის ქვეყნებში საოჯახო მეურნეობები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან მიწის ფართობით, შრომისა და ბიზნესის მოცულობით, ასევე დიდი განსხვავებაა ძველი და ახალი წევრი სახელმწიფოების მეურნეობებს შორის. ახალ

წევრებთან უფრო ჭარბობენ მეურნეობები კოოპერატივების ან კორპორატიული ფერმების სახით, რომლებიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მემკვიდრეობას წარმოადგენენ. ძველ წევრ სახელმწიფოებში კი მიწის ნაკვეთების სიმცირის მიუხედავად საოჯახო მეურნეობები კარგად არის განვითარებული.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 2014 წელი საოჯახო მეურნეობის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა "... ოჯახურ და მცირე ზომის მეურნეობებზე მსოფლიოს ყურადღების მიპყრობას და იმ წვლილის წინ წამოწევას, რომელიც მათ შეიტანეს შიმშილისა და სიღარიბის აღმოფხვრის, სურსათის უვნებლობის გაზრდის, კვების და საარსებო საშუალებების გაუმჯობესების, ბუნებრივი რესურსების მართვის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საქმეში.“

ამ თარიღთან დაკავშირებით სახელმწიფოების მხრიდან გადადგმულმა ნაბიჯებმა, საერთაშორისო ორგანიზაციების და საზოგადოების აქტიურმა ჩართულობამ, ოჯახური მეურნეობების კონტექსტში სურსათის უვნებლობის და კვების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში შეტანილმა წვლილმა, აქცენტის გაკეთებამ იმ მჭიდრო კავშირზე, რომელიც არსებობს საოჯახო მეურნეობებსა და ქვეყნის ისტორიულ, კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობასა და ტრადიციებზე - საოჯახო მეურნეობების წელი წარმატებულად აქცია.

2017 წლის 22 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული იქნა რეზოლუცია, რომლის საფუძველზეც 2019-2028 წლები საოჯახო მეურნეობის დეკადად გამოცხადდა, რითიც მომდევნო ეტაპს ჩაუყარა საფუძველი. კერძოდ, რეზოლუციის მიღების მიზანს წარმოადგენს:

- მოუწოდოს სახელმწიფოებს განავითარონ, ხელი შეუწყონ და გაატარონ სახელმწიფო პოლიტიკა ოჯახური მეურნეობების განვითარების კუთხით, გაიზიარონ სხვა ქვეყნების მიღწეული წარმატებების პრაქტიკა;
- მოუწოდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს (International Fund for Agricultural Development) უხელმძღვანელონ დეკადის მიზნების განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებს, მათ შორის, სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი აქტივობების პროგრამის შემუშავებას და დანერგვას არსებული რესურსების და ნებაყოფლობითი შენატანების ხარჯზე;

- ჩართონ მთავრობები და დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოება, კერძო სექტორი და აკადემიური წრეები დეკადის მიზნების განხორციელების საქმეში.

საოჯახო მეურნეობა არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, რომელშიც ძირითადად დაკავებულები არიან ოჯახის წევრები.

საოჯახო მეურნეობების უპირატესობები:

- საკვანძო როლს თამაშობს სასურსათო უსაფრთხოების, მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფასა და კვების მრავალფეროვნების შენარჩუნებაში;
- ხასიათდება მეტი მოქნილობით, მისაწვდომლობით და მაღალი მოტივაციით;
- ხელს უწყობს სოციალური სამართლიანობის ჩამოყალიბებას, ადვილად დაძლევს სიღარიბეს და მოხსნის დასაქმების პრობლემას;
- მოსახლეობა ახლოს არის ადგილობრივ რესურსებთან, ბუნებასთან და ინარჩუნებს ბიომრავალფეროვნებას;
- შეუძლია სწრაფი ადაპტირება და აქვს უპირატესობები ეკოლოგიურ ცვლილებებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მიმართულებით;
- ახასიათებს თაობათა მჭიდრო ურთიერთობა და ტრადიციულ ცოდნის გადაცემა თაობიდან თაობამდე.

საქართველოში საქ. სტატის მონაცემებზე დაყრდნობით გვაქვს ასეთი მდგომარეობა (წყარო: www.geostat.ge):

- აღწერის შედეგად, 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ქვეყანაში დაფიქსირდა 642.2 ათასი მეურნეობა, მათ შორის 640.0 ათასი შინამეურნეობა ანუ საოჯახო მეურნეობაა და მხოლოდ 2.2 ათასი მეურნეობაა იურიდიული პირი.
- მეურნეობების მთლიანი რაოდენობიდან 574.1 ათასს სარგებლობაში აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწა, ხოლო დანარჩენ 68.1 ათასს – არ აქვს.
- მეურნეობების სარგებლობაში არის 842.3 ათასი ჰა. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწა. მათ შორის 87.2% (734.8 ათასი ჰა) საკუთრებაშია, ხოლო 12.8% (107.5 ათასი ჰა) – დროებით სარგებლობაში.

ასოციაციამ საზოგადოების აზრის კვლევის მიზნით განახორციელა ფერმერების გამოკითხვა შერეული პრინციპით, კერძოდ, სამ რეგიონში (კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და აჭარის ა.რ) სულ ჯამში გამოიკითხა 1570 რესპოდენტი, მათ შორის 952 ქალი და 618 მამაკაცი. რესპოდენტებმა უპასუხეს 16 კითხვას, გამოკითხულთა უდიდეს უმრავლესობას (1086 რესპოდენტს) სურს საოჯახო მეურნეობებს ჰქონდეს სტატუსი, დარეგისტრირდნენ იურიდიულ პირად და, როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა, მათაც ისარგებლონ სპეციალური სახელმწიფო პროგრამებით. გამოკითხვით გამოვლინდა საოჯახო მეურნეობაში ჩართულების როლი და ფულადი

სახსრების განაწილების პრაქტიკა, ქალისა და მოზარდის როლი მეურნეობის საქმიანობაში და მათი ანაზღაურება და სხვა საკითხები

/იხილეთ დანართი: გამოკითხვის შედეგები/

გამოკითხვის შედეგებისა და შეხვედრების დროს ფერმერების მიერ დაყენებული საჭიროებებისა და პრობლემების გათვალისწინებით ფერმერ ქალთა ასოციაციას მიაჩნია:

- საჭიროა საკანონმდებლო ბაზის შექმნა საოჯახო მეურნეობების სტატუსის განსაზღვრის, წევრთა შრომითი უფლებების დაცვისა და იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით;
- საოჯახო მეურნეობებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებამ არ უნდა გამოიწვიოს მათთვის საგადასახადო ვალდებულებების დაკისრება, საოჯახო მეურნეობა გათანაბრებული უნდა იყოს ფიზიკური პირის სტატუსთან;
- აუცილებელია შემუშავდეს და განხორციელდეს სახელმწიფო პროგრამები საოჯახო მეურნეობაში დომინირებული დარგის გასაძლიერებლად;
- უნდა შემუშავდეს სპეციალური პოლიტიკა, თუ როგორ მოხდეს გაძლიერებული საოჯახო მეურნეობების გაერთიანება/კოოპერირება დარგების მიხედვით მარკეტინგის თვალსაზრისით;

ფერმერ ქალთა ასოციაციის თავმჯდომარე.

პროექტის მენეჯერი:

ირინე ფხოველიშვილი

შერეული ტიპის გამოიკითხვაში ჯამურად მონაწილეობა მიიღო 1570-მა რესპოდენტმა.





ხმები განაწილდა ასე: არარეგისტრირებული - 1083, რეგისტრირებული - 300, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი - 94, აგროტურიზმი - 58, სხვა - 35



ხმები განაწილდა ასე: პროდუქციის მწარმოებელი - 1245, პროდუქციის მწარმოებელი და გადამამუშავებელი - 235, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი - 94, აგროტურიზმი - 90.



ხმები განაწილდა ასე: ასაკუთრებაში არსებული და რეგისტრირებული ს/ს დანიშნულების მიწა - 506, საკუთრებაში არსებული და არარეგისტრირებული ს/ს დანიშნულების მიწა - 378, გხოველები და მათთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები - 346, ფრინველები და მათთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები - 201, ტექნიკა, დანადგარები, სამუშაო ხელსაწყოები და ტრანსპორტი - 131, სხვა - 8.



ხმები განაწილდა ასე: მხოლოდ ოჯახის საკუთრებაში - 897, ნაწილობრივ ოჯახის და სხვა მოძიებული სახსრებით - 295, იჯარით ვიღებთ მიწას - 196, ავქირაობთ ტექნიკას - 182.



ხმები განაწილდა ასე: კი - 615, არა - 955.



ხმები განაწილდა ასე: კი - 807, არა - 763.



ხმები განაწილდა ასე: არ არის მკვეთრად გამიჯნული - 358, ძირითადი შრომა მოდის ქალზე - 219, მკვეთრად გამიჯნულია - 201, ძირითადად შრომა მოდის კავზე - 325, რაც გასაკეთებელია იმის მიხედვით ვანაწილებთ - 465 და სხვა -2.



ხმები განაწილდა ასე: კი - 855, არა - 715.



ხმები განაწილდა ასე: მხოლოდ მეუღლეები- 245, მეუღლეები, შვილები და პარტნიორები - 512, მხოლოდ პირდაპირი ხაზის ნათესავები - 234, პიურდაპირი და არაპირდაპირი ხაზის ნათესავები, რომლებთან ერთადაც ცხოვრობთ და ქმნით დოვლათს - 336, ადამიანები რომლებთან ერთადაც გამოიმუშავებ და ანაწილებთ შემოსავალს - 219, სხვა - 24.



ხმები განაწილდა ასე: კი- 991, არა - 579.



ხმები განაწილდა ასე: ერთპიროვნულად ანაწილებს მამაკაცი თავისი შეხედულებისამებრ - 103, ერთპიროვნულად ანაწილებს ქალი თავისის შეხედულებისამებრ - 130, ერთობლივად - 810, თანხა ნაწილდება ოჯახის მოთხოვნის შესაბამისად - 527.



ხმები განაწილდა ასე: არა, მაგრამ თანხაისევ მაგათ საჭიროებას ხმარდება - 1055, არ ვთვლით, რომ მოზარდზე თანხის მიცემა გამართლებული იყოს - 171, ვუხდით გაწეული სამუშაოს მიხედვით - 339, სხვა - 5.



ხმები განაწილდა ასე: კი - 757, არა - 813.



ხმები განაწილდა ასე: კი - 387, არა - 1110.



ხმები განაწილდა ასე: საოჯახო მეურნეობისთვის სტატუსის განსაზღვრა და მინიჭება - 230, საოჯახო მეურნეობებისთვის ცოდნის მიღებისა გაზიარების ხელმისაწვდომი სისტემის ჩამოყალიბება - 338, სპეციალური სახელმწიფო პროგრამების პაკეტის შემუშავება საოჯახო მეურნეობის გაძლიერებისთვის - 762, საგადასახადო შეღავათები - 237, სხვა - 3.



ხმები განაწილდა ასე: კი - 1083, არა - 487,